

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ვაზისუბნის მამული

2021 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	11
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	11
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება	12
2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	12
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13
3.1 უცხოური ვალუტა	13
3.2 ძირითადი საშუალებები	13
3.3 არამატერიალური აქტივები	14
3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	14
3.5 იჯარა	15
3.6 მარაგები	16
3.7 ფინანსური ინსტრუმენტები	16
3.8 ფული და ფულის ეკვივალენტები	19
3.9 კაპიტალი	19
3.10 მოგების გადასახადი	19
3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	19
3.13 შემოსავალი	20
4 ძირითადი საშუალებები	21
5 მარაგები	22
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
7 გაცემული სესხები	23
8 ფული და ფულის ეკვივალენტები	24
9 კაპიტალი	24
10 სესხები	24
11 იჯარა	25
12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
13 შემოსავალი	26
14 გაყიდული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	27

15	ქონების გაყიდვით მიღებული მოგება	27
16	რეალური ღირებულებით მიღებული მოგება რთველისგან	27
17	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	28
18	ვენახის მოვლის ხარჯები	28
19	გაყიდვის ხარჯები	28
20	ფინანსური ხარჯები	29
21	კურსთაშორისი სხვაობის ზარალი, წმინდა	29
22	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29
23	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა	29
23.1	კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	29
23.2	ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით	31
24	ფინანსური ინსტრუმენტები	31
24.1	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	31
24.2	ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	31
25	ფინანსური რისკის მართვა	31
26	სამართლიანი ღირებულებით შეფასება	34
	არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულება	35
27	კაპიტალის მართვა	35
28	პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები	35
28.1	დაზღვევა	35
28.2	გადასახადები	36
29	ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება	36
30	დაკავშირებული მხარეები	36
30.1	საკონტროლო ურთიერთობები	36
30.2	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
30.3	ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და მათი ოჯახის წევრებთან	37

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

შპს ვაზისუბნის მამულის დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ვაზისუბნის მამულის (შემდგომში “კომპანია”) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზე, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შემჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შემჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

ვახტანგ ცაბაძე

სერტიფიცირებული აუდიტორი / მმართველი პარტნიორი

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-774309

შპს გრანტ თორნტონ

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი 2022



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	22,004,998	21,037,590
არამატერიალური აქტივები		91,768	109,724
გაცემული სესხი	7	81,000	-
		<u>22,177,766</u>	<u>21,147,314</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,074,598	1,822,085
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	537,383	624,722
გაცემული სესხი	7	5,213	40,036
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	70,364	219,576
		<u>2,687,558</u>	<u>2,706,419</u>
სულ აქტივები		<u>24,865,324</u>	<u>23,853,733</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9	19,982,071	17,555,361
აკუმულირებული ზარალი		(5,262,558)	(3,846,620)
		<u>14,719,513</u>	<u>13,708,741</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	4,571,309	4,770,156
საიჯარო ვალდებულებები	11	71,210	34,145
		<u>4,642,519</u>	<u>4,804,301</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	857,681	611,310
საიჯარო ვალდებულება	11	80,455	36,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,565,156	4,645,856
მოგების გადასახადის ვალდებულება		-	46,887
		<u>5,503,292</u>	<u>5,340,691</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>24,865,324</u>	<u>23,853,733</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	22,004,998	21,037,590
არამატერიალური აქტივები		91,768	109,724
გაცემული სესხი	7	81,000	-
		22,177,766	21,147,314
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,074,598	1,822,085
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	537,383	624,722
გაცემული სესხი	7	5,213	40,036
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	8	70,364	219,576
		2,687,558	2,706,419
სულ აქტივები		24,865,324	23,853,733
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	9	19,982,071	17,555,361
აკუმულირებული ზარალი		(5,262,558)	(3,846,620)
		14,719,513	13,708,741
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	4,571,309	4,770,156
საიჯარო ვალდებულებები	11	71,210	34,145
		4,642,519	4,804,301
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	857,681	611,310
საიჯარო ვალდებულება	11	80,455	36,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	4,565,156	4,645,856
მოგების გადასახადის ვალდებულება		-	46,887
		5,503,292	5,340,691
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		24,865,324	23,853,733

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად 2022 წლის 30 სექტემბერს:

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	13	4,282,780	1,994,152
გაყიდული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	14	(1,456,073)	(975,391)
საერთო მოგება		2,826,707	1,018,761
ქონების გაყიდვით მიღებული მოგება	15	562	510,731
გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით მიღებული მოგება რთველისგან	16	456,158	473,408
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(3,168,996)	(1,968,367)
ვენახის მოვლის ხარჯები	18	(516,282)	(437,830)
გაყიდვის ხარჯები	19	(410,378)	(275,591)
საოპერაციო ზარალი		(812,229)	(678,888)
ფინანსური ხარჯი	20	(704,743)	(152,584)
ფინანსური შემოსავალი	7	5,178	1,870
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		102,151	184,551
კურსთაშორისი სხვაობის ზარალი, წმინდა	21	(6,295)	(121,506)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,415,938)	(766,557)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,415,938)	(766,557)
სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		-	-
წლის სხვა სრული ხარჯი		(1,415,938)	(766,557)

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი



გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი	13	4,282,780	1,994,152
გაყიდული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	14	(1,456,073)	(975,391)
საერთო მოგება		2,826,707	1,018,761
ქონების გაყიდვით მიღებული მოგება	15	562	510,731
გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით მიღებული მოგება რთველისგან	16	456,158	473,408
საერთო და აღმინისტრაციული ხარჯები	17	(3,168,996)	(1,968,367)
ვენახის მოვლის ხარჯები	18	(516,282)	(437,830)
გაყიდვის ხარჯები	19	(410,378)	(275,591)
საოპერაციო ზარალი		(812,229)	(678,888)
ფინანსური ხარჯი	20	(704,743)	(152,584)
ფინანსური შემოსავალი	7	5,178	1,870
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი, წმინდა		102,151	184,551
კურსთაშორისი სხვაობის ზარალი, წმინდა	21	(6,295)	(121,506)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,415,938)	(766,557)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		(1,415,938)	(766,557)
სხვა სრული შემოსავალი პერიოდისთვის		-	-
წლის სხვა სრული ხარჯი		(1,415,938)	(766,557)

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	17,122,248	(3,080,063)	14,042,185
წლის ზარალი	-	(766,557)	(766,557)
წლის განმავლობაში მიღებული სრული ზარალი	-	(766,557)	(766,557)
კაპიტალის ზრდა	1,133,113	-	1,133,113
კაპიტალის შემცირება	(700,000)	-	(700,000)
წლის განმავლობაში ოპერაციები მფლობელებთან	433,113	-	433,113
2020 წლის 31 დეკემბერი	17,555,361	(3,846,620)	13,708,741
წლის ზარალი	-	(1,415,938)	(1,415,938)
წლის განმავლობაში მიღებული სრული ზარალი	-	(1,415,938)	(1,415,938)
კაპიტალის ზრდა	2,426,710	-	2,426,710
წლის განმავლობაში ოპერაციები მფლობელებთან	2,426,710	-	2,426,710
2021 წლის 31 დეკემბერი	19,982,071	(5,262,558)	14,719,513

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარი

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	17,122,248	(3,080,063)	14,042,185
წლის ზარალი	-	(766,557)	(766,557)
წლის განმავლობაში მიღებული სრული ზარალი	-	(766,557)	(766,557)
კაპიტალის ზრდა	1,133,113	-	1,133,113
კაპიტალის შემცირება	(700,000)	-	(700,000)
წლის განმავლობაში ოპერაციები მფლობელებთან	433,113	-	433,113
2020 წლის 31 დეკემბერი	17,555,361	(3,846,620)	13,708,741
წლის ზარალი	-	(1,415,938)	(1,415,938)
წლის განმავლობაში მიღებული სრული ზარალი	-	(1,415,938)	(1,415,938)
კაპიტალის ზრდა	2,426,710	-	2,426,710
წლის განმავლობაში ოპერაციები მფლობელებთან	2,426,710	-	2,426,710
2021 წლის 31 დეკემბერი	19,982,071	(5,262,558)	14,719,513

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37 გვერდებზე) ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფული	4,755,931	2,333,717
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4,457,819)	(1,767,521)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები საქონლის შესაძენად	(720)	(310,361)
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება ფულად	117,546	43,883
გადახდილი გადასახადები	(801,351)	(169,755)
გადახდილი ხელფასები	(1,349,274)	(952,830)
ფული საოპერაციო საქმიანობაში	(1,735,687)	(822,867)
მიღებული პროცენტები	-	6,417
გადახდილი პროცენტები	(709,155)	(501,109)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობაში	(2,444,842)	(1,317,559)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების გაყიდვიდან მიღებული ნაღდი ფული	-	1,767,228
ნაღდი ფული გადახდილი ქონების შესაძენად	-	(1,992,336)
გაცემული სესხებიდან ძირი თანხის ამოღება	27,000	50,000
სესხის გაცემა	(68,000)	(40,000)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(41,000)	(215,108)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(85,616)	(35,841)
აღებული სესხები	5,202,000	1,500,000
სესხების გადახდა	(5,153,234)	(118,534)
ფულადი შენატანი კაპიტალში	2,426,710	1,114,996
კაპიტალის ფულადი შემცირება	-	(700,000)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	2,389,860	1,760,621
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა	(95,982)	227,954
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი ფულზე და საბანკო ნაშთებზე	(53,230)	(21,003)
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები წლის დასაწყისში	219,576	12,625
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები წლის ბოლოს	70,364	219,576

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი



გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37) გვერდებზე ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფული	4,755,931	2,333,717
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(4,457,819)	(1,767,521)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ავანსები საქონლის შესაძენად	(720)	(310,361)
ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნება ფულად	117,546	43,883
გადახდილი გადასახადები	(801,351)	(169,755)
გადახდილი ხელფასები	(1,349,274)	(952,830)
ფული საოპერაციო საქმიანობაში	(1,735,687)	(822,867)
მიღებული პროცენტები	-	6,417
გადახდილი პროცენტები	(709,155)	(501,109)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობაში	(2,444,842)	(1,317,559)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ქონების გაყიდვიდან მიღებული ნაღდი ფული	-	1,767,228
ნაღდი ფული გადახდილი ქონების შესაძენად	-	(1,992,336)
გაცემული სესხებიდან ძირითადი თანხის ამოღება	27,000	50,000
სესხის გაცემა	(68,000)	(40,000)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობაში	(41,000)	(215,108)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(85,616)	(35,841)
აღებული სესხები	5,202,000	1,500,000
სესხების გადახდა	(5,153,234)	(118,534)
ფულადი შენატანი კაპიტალში	2,426,710	1,114,996
კაპიტალის ფულადი შემცირება	-	(700,000)
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	2,389,860	1,760,621
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა	(95,982)	227,954
კურსთამორის სხვაობის ეფექტი ფულზე და საბანკო ნაშთებზე	(53,230)	(21,003)
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები წლის დასაწყისში	219,576	12,625
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები წლის ბოლოს	70,364	219,576

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი

გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება უნდა იყოს განხილული შენიშვნებთან (12-37) გვერდებზე ერთობლიობაში, რომლებიც წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს “ვაზისუნის მამული” (კომპანია) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2013 წელს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია, ამასთან კომპანია ოპერირებს უწევს საკუთარ სასტუმროსა და რესტორანს სოფელ ვაზისუნში, კახეთის რეგიონში.

კომპანიის თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2021 წლის განმავლობაში იყო 105 თანამშრომელი (2020: 94 თანამშრომელი). კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, კ. მარჯანიშვილისი #7.

კომპანიის მფლობელები და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები:

მესაკუთრე	წილი (%)	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ბ-ნ მამუკა ხაზარაძე (წილის მმართველი ნიკა ხაზარაძე, 01030018090(50%))	50%	50%
ბ-ნ ბადრი ჯაფარიძე (წილის მმართველი თამარ ჯაფარიძე, 01030030724(50%))	50%	50%

საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულაციების მიხედვით კომპანია წარმოადგენს მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოს. ამავე რეგულაციების შესაბამისად, კომპანია არ წარმოადგენს საზოგადოებრივი დაინტერესების პირს.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი ამჟამინდელი ლიკვიდურობის მდგომარეობა საკმარისია მდგრადი ფუნქციონირებისთვის. კომპანია რეგულარულად აკონტროლებს ლიკვიდურობის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში აპირებს გამოიყენოს შესაბამისი ლიკვიდურობის ინსტრუმენტები.

მსოფლიოში ვითარება გამწვავდა რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის შედეგად. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ჯერ არ არის მიღწეული და ომის შედეგები გლობალურ ეკონომიკაზე, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ამ მოვლენებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კომპანიის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ეს ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას კომპანიის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ (“ბასს”). ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია საქმიანობს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

2.2 მომზადების საფუძველი

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკოტირებული) ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულების შეფასების დეტალები მოცემულია განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა). ლარში გამოსახული ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და საადრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 23.1 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც ამოსაყენებლად სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ქვემოთ მოცემულია 2021 წელს განხორციელებული ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებსაც ზეგავლენა არ მოუხდენიათ კომპანიის ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია
სხვადასხვა	საპროცენტო განაკვეთის საორიენტაციო რეფორმის ფაზა 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 16, ფასს 4, ფასს 7) შესწორებები

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკაში დაინერგება იმ პირველივე პერიოდისათვის, რომლისთვისაც ამ ცვლილების გამოყენება სავალდებულო იქნება. თუმცა, ხელმძღვანელობა არ ელის, რომ ამჟამად მიღებული და ჯერ ძალაში არ მყოფი ახალი სტანდარტები და შესწორებები მნიშვნელოვან გავლენას

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

იქონიებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ცხრილში წარმოდგენილია სეთი ახალი სტანდარტები/ცვლილებები, რომლებიც ჯერ არაა ძალაში და რომლებიც კომპანიას ჯერ არ დაუნერგია:

სტანდარტი	სტანდარტის სათაური ან ინტერპრეტაცია	ძალაშია საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისას ან მის შემდეგ
ფასს 16	COVID-19-ის პირობებში იჯარასთან დაკავშირებული შედეგები 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ	1 აპრილი 2021
ფასს 3	კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ცვლილებები ფასს 3-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 16	შემოსავლები მიზნობრივ გამოყენებამდე (ცვლილებები ბასს 16-ში)	1 იანვარი 2022
ბასს 37	დამამძიმებელი კონტრაქტი – კონტრაქტის შესრულების ფასი (ცვლილებები ბასს 37-ში)	1 იანვარი 2022
ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16	ფასს 2018-2020 ყოველწლიური გაუმჯობესება (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ბასს 41, ფასს 16)	1 იანვარი 2022
ფასს 17	სადაზღვევო კონტრაქტები	1 იანვარი 2023
ფასს 4	ფასს 9-ის დროებით მიღებიდან პრივილეგიის გახანგრძლივება (ცვლილებები ფასს 4-ში)	1 იანვარი 2023
ფასს 17	ფასს 17-ისა და ფასს 9-ის პირველადი გამოყენება – შედარებითი ინფორმაცია (ცვლილებები ფასს 17-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 1	ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)	1 იანვარი 2023
ბასს 12	გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ტრანზაქციით წარმომოხილ აქტივებსა და ვალდებულებებზე (ცვლილებები ბასს 12-ში)	1 იანვარი 2023

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსთვის შეადგენს 3.5040 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 3.2766 ლარი და ერთი ევრო 4.0233 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან,

რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. იჯარით აღებული შენობები შედის კომპანიის აქტივებში, თუ ისინი აკმაყოფილებს ფინანსური იჯარის აღიარების კრიტერიუმებს. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღირიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწმებული იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

შენობა-ნაგებობები	- 15-30 წელი
ვენახები	- 45 წელი
მანქანა-დანადგარები	- 3-20 წელი
ავიჯი	- 3-10 წელი

ვინაიდან შეუძლებელია მიწის სასრული გამოყენების ვადის დადგენა, შესაბამისი საბალანსო ღირებულებაც ცვეთას არ ექვემდებარება.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას წრფივი მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 8-10 წლის ვადით.

3.4 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის

ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

3.5 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს იჯარის შეთანხმებებს ძირითადად საოფისე ფართის ქირაობისას. კომპანია არ აფორმებს გაყიდვისა და იჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარაზე მოლაპარაკება ხდება ინდივიდუალურად.

კომპანია აფასებს ხელშეკრულება არის ან თუ შეიცავს იჯარას კონტრაქტის დასაწყისში. იჯარა გულისხმობს უფლებას გამოიყენოს და მოიპოვოს იდენტიფიცირებული აქტივის არსებითად ყველა ეკონომიკური სარგებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების სანაცვლოდ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივებს სარგებლობის უფლებით და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივით სარგებლობის უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია სარგებლობის უფლებით ფლობილი აქტივებისთვის იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმომოხილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანია ამრიგად აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა როგორც საოპერაციო იჯარა. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება ჩართულია ძირითად საშუალებებში და საიჯარო ვალდებულება წარდგენილია ცალკე.

კომპანია როგორც მეიჯარე

როგორც მეიჯარე, კომპანია ახდენს თავისი იჯარის კლასიფიცირებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარად.

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი გულისხმობს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საოპერაციო იჯარად.

3.6 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას, თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასია. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის ადგილზე მიტანასთან.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია არის საწარმოს ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული პროდუქცია. ნაყოფის მიღება არის ბიოლოგიური აქტივიდან პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა. ბიოლოგიური აქტივებიდან (ვენახები) მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო, შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ამგვარი შეფასება არის თვითღირებულება იმ თარიღისთვის, რომლის შემდეგაც გამოიყენება ბაზს 2 – “მარაგები” ან სხვა შესაფერისი სტანდარტი.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრუდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ღირებულება
- რეალური ღირებულების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

წარმოდგენილ პერიოდში კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივების კატეგორია FVOCI.

კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი ფინანსური აქტივის მართვისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნაში 24.1-ში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის განსაზღვრული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით" (FVTPL), თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიზნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნეს გაერთიანების დროს).

წილობრივი ინსტრუმენტების შემთხვევაში, გარიგების ფასი მიჩნეულია ფინანსური აქტივის რეალურ ღირებულებად ანგარიშსწორების თარიღისთვის თუ სახეზე არ არის ქვემოთ მოცემული ინდიკატორები:

- ინვესტირებული საწარმოს საქმიანობის შედეგების მნიშვნელოვანი ცვლილება ბიუჯეტთან, გეგმებთან და საკონტროლო ორიენტირებთან შედარებით;
- ცვლილება მოლოდინში, რომ ინვესტირებული საწარმოს ტექნიკური პროდუქტის საკონტროლო მაჩვენებლები მიღწეული იქნება;
- ინვესტირებული საწარმოს კაპიტალის, პროდუქციის ან პოტენციური პროდუქციის ბაზრის მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები გლობალურ ეკონომიკაში, ან ეკონომიკურ გარემოში, სადაც საქმიანობს ინვესტირებული საწარმო;
- მნიშვნელოვანი ცვლილებები შესადარისი საწარმოების საქმიანობაში, ან საერთო საბაზრო შეფასებებში;
- ინვესტირებული საწარმოს შიდა ფაქტორები, როგორიცაა თაღლითობა, კომერციული დავები, კანონმდებლობა, ხელმძღვანელობის ან სტრატეგიის ცვლილებები;
- ინვესტირებული საწარმოს საკუთარ კაპიტალზე განხორციელებული გარე გარიგებების მტკიცებულებები, თავად ინვესტირებული საწარმოს მონაწილეობით (როგორიცაა, მაგალითად აქციების ახალი ემისია), ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემით მესამე მხარეთა შორის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელი“. ეს ანაცვლებს ბასს 39-ის „განცდილი ზარალის მოდელს“. ახალ განსაზღვრებაში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალო ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რემიტირებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამიჯვნა ხდება:

- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (დონე 1), და
- ფინანსურ ინსტუმენტებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (დონე 2)
- დონე 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რაც დაფუძნებულია თანხების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	<30	31-60	61-90	91-180	180>
დარეზერვების პროცენტულობა	0%-1%	10%	30%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და ფინანსური იჯარის ვალდებულებებს. შეჯამება კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შესახებ, კატეგორიების მიხედვით მოცემულია შენიშვნა 24.1-ში.

ფინანსური საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიამ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, ან ზღვრული სასესხო განაკვეთით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს: ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; გადახდებს, რომელიც წარმოიქმნება არჩევანის უფლებიდან რომლებიც გონივრულად განსაზღვრადიანდება.

პირველადი შეფასების შემდგომ, ვალდებულება შემცირდება გადახდებით და გაიზრდება დარიცხული პროცენტებით. შემდგომ შეფასებებში ხდება გადაფასებებისა და მოდიფიკაციების, ან ფიქსირებულ გადახდებში მომხდარი არსებითი ცვლილებების ასახვა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

3.9 კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული შემოსავლით.

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც საწესდებო კაპიტალი, კაპიტალში.

დაგროვილი ზარალი მოიცავს ყველა მიმდინარე და წინა პერიოდის დანაკარგებს.

დივიდენდები აღიარებულია ვალდებულებად იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადებულია.

3.10 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადს იხდიან მოგების განაწილებისას (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული მოდელის გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის განსხვავების საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით კომპანიას არ წარმოექმნება.

3.11 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (a) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (b) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

- (a) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც

წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(b) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.12 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად. შემოსავლების და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3.13 შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
- შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
- გარიგების ფასის განსაზღვრა
- გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
- შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს, ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ღვინის რეალიზაცია

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, კომპანიის მიერ დაშვებული ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლებისა და ფასდაკლების ოდენობის გათვალისწინებით და აღიარებულია გაყიდვის ადგილზე. შემოსავალი მცირდება მომხმარებელთა სავარაუდო ანაზღაურებისთვის, ფასდაკლებისთვის და სხვა მსგავსი დანამატებისთვის.

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებებს, მომხმარებელზე ოპტიმოს ლიცენზიების შეთავაზებით. ხოლო მოწყობილობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება სრულად გაყიდვის მომენტშივე.

საკონტრაქტო ვალდებულება აღიარდება, როდესაც მომხმარებელი იხდის თანხას ან კომპანიას აქვს უპირობო უფლება (მაგ: მოთხოვნები) მანამ, სანამ კომპანია მიაწვდის პროდუქტს ან გაუწევს მას მომსახურებას. კომპანია წარადგენს საკონტრაქტო ვალდებულებას, მაშინ როდესაც მოხდება გადახდა ან გადახდის ვადა მოახლოვდება (რომელიც ამათგან უფრო ადრე მოხდება). ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არის კომპანიის ვალდებულება უზრუნველყოს მომხმარებლისთვის მომსახურება, რისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან გადასახდელი თანხის ოდენობა) მომხმარებლისგან.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებითა და სხვა მსგავსი შეღავათებით.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა და ნაწილები	ვენახები	დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი	ავტომობილები	სხვა	სულ
თვითღირებულება									
2020 წლის 1 იანვარი	1,629,930	11,578,478	4,164,739	1,454,660	904,332	989,473	-	473,097	21,194,709
შემოსვლა	-	292,707	1,650,144	-	-	-	-	49,485	1,992,336
ნეტო, ტრანსფერი	-	4,029,632	(5,982,458)	-	1,410,866	376,789	-	165,171	-
სესხის პროცენტის კაპიტალიზება	-	-	348,228	-	-	-	-	-	348,228
გასვლა	(644,762)	(581,676)	(30,059)	-	-	-	-	-	(1,256,497)
2021 წლის 31 დეკემბერი	985,168	15,319,141	150,594	1,454,660	2,315,198	1,366,262	-	687,753	22,278,776
შემოსვლა	-	581,444	-	-	97,188	-	77,726	1,389,331	2,145,689
ნეტო, ტრანსფერი	-	128,584	(150,594)	-	904,859	324,494	-	(1,207,343)	-
გასვლა	-	-	-	-	(105)	(93)	-	(8,589)	(8,787)
2021 წლის 31 დეკემბერი	985,168	16,029,169	-	1,454,660	3,317,140	1,690,663	77,726	861,152	24,415,678
დაგროვილი ცვეთა									
2020 წლის 1 იანვარი	-	192,297	-	68,538	109,858	19,928	-	77,340	467,961
წლის ცვეთა	-	344,437	-	32,326	115,916	181,860	-	98,686	773,225
2020 წლის 31 დეკემბერი	-	536,734	-	100,864	225,774	201,788	-	176,026	1,241,186
წლის ცვეთა	-	535,305	-	32,460	239,672	217,273	1,685	144,850	1,171,245
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	(105)	(93)	-	(1,553)	(1,751)
2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,072,039	-	133,324	465,341	418,968	1,685	319,323	2,410,680
საბალანსო ღირებულება									
2020 წლის 31 დეკემბერი	985,168	14,782,407	150,594	1,353,796	2,089,424	1,164,474	-	511,727	21,037,590
2021 წლის 31 დეკემბერი	985,168	14,957,130	-	1,321,336	2,851,799	1,271,695	76,041	541,829	22,004,998

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები 4,200,000 ლარის საბალანსო ღირებულებით, გამოყენებულია კომპანიის სესხების უზრუნველსაყოფად.

სესხის პროცენტის კაპიტალიზაციის გაანგარიშებისას გამოყენებული საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 11.5%-ს 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (2019: 11.5%). 2021 წლის განმავლობაში მშენებლობა დასრულდა.

ცვთის გადანაწილება წარმოდგენილია ქვემოთ:

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,048,538	657,269
ვენახის მოვლის ხარჯები	68,977	74,842
წარმოებული საქონლის ღირებულება	53,730	41,114
	<u>1,171,245</u>	<u>773,225</u>

ძირითადი საშუალებები მოიცავს აქტივების გამოყენების უფლებას, რომლებიც განაწილებულია შემდეგნაირად:

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
შენობები	76,042	-
ავტომობილები	110,374	20,387
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	70,617	87,140
სულ აქტივების გამოყენების უფლება	<u>257,033</u>	<u>107,527</u>

სარგებლობის უფლების მქონე აქტივების ამორტიზაციის ხარჯი:

ლარში	2021 წელი	2020 წელი
შენობები	1,685	-
ავტომობილები	7,201	4,529
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	16,523	16,523
სულ აქტივების გამოყენების უფლება	<u>25,409</u>	<u>21,052</u>

5 მარაგები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ღვინო და ალკოჰოლური სასმელები	1,521,151	1,314,200
ბოთლები, ყუთები და სხვა შესაფუთი მასალები	84,074	55,509
საკვები და სასმელები	98,433	48,880
ჰიგიენური საშუალებები და სასტუმროს აქსესუარები	322,291	37,706
სხვა	48,649	365,790
	<u>2,074,598</u>	<u>1,822,085</u>

მარაგები არ იყო სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული.

6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	584,317	363,634
სხვა მოთხოვნები	9,814	4,382
არაფინანსური აქტივები		
მომწოდებლისთვის გადახდილი ავანსები	84,875	370,841
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(141,623)	(114,135)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	537,383	624,722

ყველა თანხა მოკლევადიანია. სავაჭრო დებიტორული დავალიანების წმინდა საბალანსო ღირებულება ითვლება რეალური ღირებულების გონივრულ მიახლოებად.

სავაჭრო მოთხოვნების საშუალო საკრედიტო პერიოდი შეადგენს 50 დღეს (2020: 67 დღე). სავაჭრო დებიტორებზე პროცენტი არ ირიცხება.

კომპანიის ყველა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება შედარებით პერიოდებში განხილულია გაუფასურების ინდიკატორებისთვის. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო დებიტორული ზარალის რეზერვის საბოლოო ნაშთი ემთხვევა დებიტორული ზარალის რეზერვის საწყის ბალანსს შემდეგნაირად:

ლარი	2020	2019
ზარალის ანარიცხი 1 იანვარი	114,135	74,693
წლის განმავლობაში დარიცხული ანარიცხი	34,537	60,630
გამოუყენებელი და აღდგენილი ზარალის ანარიცხი	(7,049)	(21,188)
ზარალის ანარიცხი 31 დეკემბერი	141,623	114,135

შენიშვნა 25 (ბ) მოიცავს საკრედიტო რისკთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანალიზს. როგორც მიმდინარე, ასევე შედარებითი გაუფასურების დებულებები შეესაბამება ფასს 9-ის მოსალოდნელი ზარალის მოდელს.

იხილეთ შენიშვნა 25 (ა) იმ ვალუტების შესახებ, რომლებშიც არის დენომინირებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

7 გაცემული სესხები

ლარი	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სესხები დაკავშირებულ მხარეზე ლარში	11,5%	31-მაისი-26	86,213	40,036

სესხი 5 წლის ვადით არის გაცემული და არ არის უზრუნველყოფილი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად - ძირის და პროცენტის თანხები იფარება სესხის ვადის ამოწურვისას. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ სესხები არ არის გაუფასურებული.

ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 25 (ა) შენიშვნაში.

8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	25,239	4,072
ფული საბანკო ანგარიშებზე	45,125	215,504
	70,364	219,576

ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების საკრედიტო ხარისხი, ნაღდი ფულის ნაშთების გარდა, Fitch- ის საკრედიტო სააგენტოს თანახმად B კატეგორიითაა შეფასებული და არც ვადაგადაცილება და არც გაუფასურება არ ფიქსირდება.

იმ ვალუტების შესახებ, რომლებსაც კომპანია ფლობს საბანკო ანგარიშებზე, იხილეთ ცხრილი ქვემოთ:

ლარი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ლარი	34,784	152,366
აშშ დოლარი	651	63,138
ევრო	9,690	-
	45,125	215,504

9 კაპიტალი

2021 და 2020 წლების განამჯლობაში კაპიტალის მოძრაობა მოიცავს დამფუძნებლების მიერ ფულად შენატანსა და გატანას. ადგილი არ ჰქონია ისეთ მოძრაობას, რომელიც საჭიროებდა რეალური ღირებულების დადგენას. კაპიტალის წმინდა ზრდამ 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 2,426,710 ლარი (2019: 433,113 ლარი).

10 სესხები

მიღებული სესხების კლასიფიცირება მოკლევადიან და გრძელვადიან ნაწილებად:

	მიმდინარე	
ქართულ ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები კომერციული ბანკებისაგან	857,681	611,310
	857,681	611,310
	გრძელვადიანი	
ქართულ ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები კომერციული ბანკებისაგან	4,571,309	4,770,156
	4,571,309	4,770,156

კომპანიას სესხები მიღებული აქვს ლარში ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 14,5%. კომპანიას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფაში ჩადებული აქვს ძირითადი საშუალებები, როგორც გარანტია თანხების გადახდებზე. მიღებული სესხების დაყოფა ლიკვიდურობის მიხედვით წარდგენილია 25 (ა) შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ქვემოთ მოცემულია სესხების შესახებ ინფორმაცია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ტრანში	ძირი თანხა ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალი ვალუტა	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ხეკმეკრულების განაკვეთი(%) წლიური	ეფექტური განაკვეთი% წლიური	2021 წლის 31 დეკემბერი	
							ლარი	დარიცხული პროცენტი
უზრუნველყოფილი სესხები								
ტერა ბანკი	1,500,000	ლარი	09-აგვ-18	25-ივლ-23	14.5%	14.5%	877,505	1,485
ტერა ბანკი	4,550,000	ლარი	31-დეკ-21	31-დეკ-26	14.5%	14.5%	4,550,000	-
							5,427,505	1,485

ტრანში	ძირი თანხა ორიგინალ ვალუტაში	ორიგინალი ვალუტა	მიღების თარიღი	დაფარვის თარიღი	ხეკმეკრულების განაკვეთი(%) წლიური	ეფექტური განაკვეთი% წლიური	2020 წლის 31 დეკემბერი	
							ლარი	დარიცხული პროცენტი
უზრუნველყოფილი სესხები								
ტერა ბანკი	1,500,000	ლარი	09-აგვ-18	25-ივლ-23	14.5%	14.5%	1,381,466	2,838
ტერა ბანკი	5,500,000	ლარი	25-ივნ-19	25-ივლ-23	14.5%	14.5%	3,989,615	7,547
							5,371,081	10,385

11 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ქართულ ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	80,455	36,638
გრძელვადიანი	71,210	34,145
	151,665	70,783

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ავტომობილები და მანქანა-დანადგარები, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება.

იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს რაიმე ინდექსზე ან განაკვეთზე (მაგალითად კომპანიის გაყიდვების მოცულობაზე) დამოკიდებულ ცვლად გადასახდელებს. საიჯარო ხელშეკრულება ზღუდავს საიჯარო ფართის ქვეიჯარით გაცემის შესაძლებლობას, კომპანია ვალდებულია შეინარჩუნოს იჯარით აღებული საოფისე სივრცე კარგ მდგომარეობაში და ვადის ამოწურვის შემდეგ დაუბრუნოს მოიჯარეს თავდაპირველ მდგომარეობაში, ბუნებრივი ცვლის გათვალისწინებით.

აქტივის გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენილი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენილი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა ვადის გაგრძე- ლების უფლებით	
				იჯარების რაოდენობა ყიდვის უფლებით	იჯარების რაოდენობა ყიდვის უფლებით
ავტომობილები	2	12-20 თვე	18 თვე	-	-
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3	10-18 თვე	14 თვე	-	-

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია შესაბამისი აქტივებით. მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ქართულ ლარში

	მინიმალური საიჯარო გადასახადები	
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	99,455	50,638
ფინანსური ხარჯები	(20,543)	(13,190)
	78,912	37,448
1-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	89,541	44,747
ფინანსური ხარჯები	(16,788)	(11,412)
	72,753	33,335
წმინდა ღირებულება	151,665	70,783

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,425,588	4,613,602
სახელფასო ვალდებულებები	1,451	4,371
მიღებული ავანსები	19,894	27,883
საგადასახადო ვალდებულებები	118,223	-
	4,565,156	4,645,856

კომპანიის უცხოური ვალუტის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 25 (ა)-ში.

13 შემოსავალი

ლარი

	2021 წელი	2020 წელი
გაყიდვები ექსპორტზე	384,253	537,979
გაყიდვები ადგილობრივ ბაზარზე	653,955	443,701
ყურძნის გაყიდვები	187,309	-
ამონაგები გაყიდვებიდან	1,225,517	981,680
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	1,429,976	526,378
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	1,601,639	486,094
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	25,648	-
შემოსავალი მომსახურებიდან	3,057,263	1,012,472
სულ შემოსავალი	4,282,780	1,994,152

კომპანიის გაყიდვიდან ამონაგები მთლიანად მიღებულია დროის გარკვეულ მომენტში ღვინის რეალიზაციიდან. კომპანიის სარესტორნო მომსახურების შემოსავალი მთლიანად მიღებულია დროის გარკვეულ მომენტში საკვებისა და სასმელების რეალიზაციით. კომპანიის სასტუმრო მომსახურების შემოსავალი მთლიანად მიღებულია დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომსახურების გაწევით.

კომპანიას არ აქვს დაუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულება.

14 გაყიდული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება

ლარი	2021 წლის განმავლობაში	2020 წლის განმავლობაში
გაყიდვების თვითღირებულება ექსპორტზე	216,042	369,465
გაყიდვების თვითღირებულება ადგილობრივ ბაზარზე	553,336	331,491
გაყიდვების თვითღირებულება	769,378	700,956
სარესტორნო მომსახურების თვითღირებულება	414,728	87,553
სასტუმრო მომსახურების თვითღირებულება	243,137	186,882
სხვა	28,830	-
მომსახურების თვითღირებულება	686,695	274,435
	1,456,073	975,391

15 ქონების გაყიდვით მიღებული მოგება

ლარი	2021 წელი	2020 წელი
გაყიდვის ღირებულება	10,971	1,767,228
ისტორიული ღირებულება	15,900	1,256,497
დაგროვილი ცვეთა	(5,491)	-
	562	510,731

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ გაყიდა მიწა და მასზე მიმდინარე მშენებლობა (იხ. შენიშვნა 4). არც ერთი გაყიდული ქონება არ იყო ცვეთადი.

16 გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით მიღებული მოგება რთველისგან

ლარი	2021 წლის განმავლობაში		2020 წლის განმავლობაში	
	მოსავლის რაოდენობა (კგ)	გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება	მოსავლის რაოდენობა (კგ)	გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება
საფერავი	109,355	185,904	117,604	199,926
ქისი	68,558	123,404	67,990	135,980
რქაწითელი	76,467	61,174	72,041	50,429
კახური მწვანე	43,956	43,956	52,137	41,710
ხიხვი	25,575	40,920	28,352	45,363
მუსკატი	400	800		
	324,311	456,158	338,124	473,408

შენიშვნა 26 მოიცავს არაფულადი აქტივების რეალური ღირებულების შეფასებას.

17 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ცვეთა	1,048,538	657,269
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	1,132,885	779,043
კომუნალური ხარჯები	324,952	110,060
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	140,409	68,948
ქირის (მოკლევადიანი იჯარის) ხარჯები	51,717	42,650
უიმედო ვალის ხარჯები	27,488	39,442
მარაგების ჩამოწერა	53,746	-
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	67,151	39,364
სარემონტო და ტექნიკური ხარჯები	22,365	37,909
საწვავის ხარჯი	66,956	58,563
უსაფრთხოების ხარჯი	7,491	14,732
დაზღვევის ხარჯი	23,903	12,963
მივლინების ხარჯები	2,275	8,785
ტრენინგის ხარჯი	2,575	5,670
კომუნიკაციის ხარჯი	2,749	3,005
ტრანსპორტირების ხარჯი	15,953	1,714
წარმომადგენლობითი ხარჯები	30,790	820
სხვა	147,053	87,430
	<u>3,168,996</u>	<u>1,968,367</u>

18 ვენახის მოვლის ხარჯები

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯები	296,824	189,009
ცვეთა	68,977	74,842
გამოყენებული ქიმიკატები და სხვა ნივთიერებები	81,690	54,919
კომუნალური ხარჯები	29,875	52,627
ტრანსპორტირების ხარჯი	16,680	16,322
დაზღვევის ხარჯი	13,030	11,834
საწვავის ხარჯი	6,236	5,971
სხვა	2,970	32,306
	<u>516,282</u>	<u>437,830</u>

19 გაყიდვის ხარჯები

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ხელფასი და მასთან დაკავშირებული ხარჯი	173,445	104,163
მარკეტინგული ხარჯი	106,264	97,484
ტრანსპორტირების ხარჯი	48,052	32,479
საწვავის ხარჯი	18,341	9,804
სააგენტოების საკომისიო ხარჯი	36,344	8,509
სხვა	27,932	23,152
	<u>410,378</u>	<u>275,591</u>

20 ფინანსური ხარჯები

ლარი	2021 წელი	2020 წელი
საპროცენტო ხარჯები სასესხო ვალდებულებებზე	674,178	133,282
საპროცენტო ხარჯები სალიზინგო ვალდებულებებზე	30,565	19,302
მთლიანი ფინანსური ხარჯი	704,743	152,584

როგორც მე-4 შენიშვნაშია ახსნილი, სესხის პროცენტის კაპიტალიზაციამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 348,228 ლარი, რომელიც გამოითვლება საშუალო საპროცენტო განაკვეთით 14,5% და კაპიტალიზირებულია აქტივების მშენებლობაზე, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

აქტივების მშენებლობის პროცესი დასრულდა 2020 წლის აგვისტოში და შედეგად აღნიშნული თარიღის შემდგომ საპროცენტო ხარჯები აღიარებულია ფინანსურ ხარჯად მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

21 კურსთაშორისი სხვაობის ზარალი, წმინდა

ლარი	2021 წელი	2020 წელი
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების წმინდა ზარალი	(53,230)	(10,924)
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების წმინდა მოგება/(ზარალი)	46,935	(110,582)
	(6,295)	(121,506)

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

რუსეთის უკრაინაში შეჭრა

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში და მას შემდეგ აწარმოებს სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებებს უკრაინის წინააღმდეგ. საპასუხო ევროკავშირმა, აშშ-მ და სხვა ქვეყნებმა რუსეთს დაუწესეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სანქციები. ამ მოვლენებმა გავლენა იქონიეს მიწოდების ჯაჭვებზე, მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებასა და მთლიანობაში გლობალურ ეკონომიკაზე, რისი ეფექტის საიმედოდ შეფასება ამ მომენტისათვის შეუძლებელია. შეუძლებელია იმის საიმედოდ განჭვრეტაც, რამდენად დიდ ხანს გაგრძელდება საომარი მოქმედებები და რა იქნება საბოლოოდ ეკონომიკური სანქციების ეფექტი. შესაბამისად, ამ შესაძლო ეფექტის ასახვა ამ ანგარიშგებაში არ მომხდარა.

მესაკუთრეთა ცვლილებები

2022 წლის 15 ივლისს მამუკა ხაზარაძის 50%-იანი წილის მფლობელი გახდა შპს ხაზარაძე ჰოლდინგ რომლის ყველაზე მსხვილი მეწილე (36%) ირინე ხაზარაძეა.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.

23 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა

შეფასებები და მსჯელობები მუდმივად ფასდება და ეფუძნება როგორც ისტორიულ გამოცდილებას აგრეთვე სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინებს.

23.1 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია აფასებს და ვარაუდებს გამოთქვამს მომავალთან დაკავშირებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან. შეფასებებსა და დაშვებებს რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი რისკი, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მატერიალური კორექტირებაზე, მომდევნო ფინანსურ წელს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების პერიოდი

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა და თვლის, რომ იგი არსებითად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიური ვადისგან. თუ ძირითადი საშუალებების ფაქტობრივი სასარგებლო ვადა განსხვავდება შეფასებულისაგან, ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არსებითად განსხვავებული იყოს.

მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს მარაგების წმინდა რეალიზებად ღირებულებებს, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომი ყველაზე სანდო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიამ ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი გაყიდვის ფასები.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში და აღიარდება მარაგად. აღნიშნული შეფასება წარმოადგენს თვითღირებულებას მოსავლის შემდგომ პერიოდში.

დაკავშირებული მხარეები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

სამართლიანი ღირებულების დადგენა

ხელმძღვანელობა იყენებს შეფასების ტექნიკას რეალური ღირებულების დასადგენად ფინანსური ინსტრუმენტების (როდესაც აქტიური ბაზრის კოტები არ არის ხელმისაწვდომი) და არაფინანსური აქტივებისთვის. აღნიშნული გულისხმობს ისეთი დაშვებების განსაზღვრას, რომელიც შესაბამისობაშია ინსტრუმენტზე ბაზრის მონაწილეთა მიერ ფასის განსაზღვრასთან. შესაძლებლობების ფარგლებში ხელმძღვანელობის დაშვებები ეფუძნება დაკვირვებად მონაცემებს, თუმცა ეს უკანასკნელი ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის. ასეთ შემთხვევაში, ხელმძღვანელობა იყენებს ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან საუკეთესოს. საანარიშგებო თარიღით შეფასებული რეალური ღირებულება შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ფასისგან, რომელიც მიღწეული იქნებოდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით განხორციელებული ტრანზაქციისას.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებისგან.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა მომავალი ფულადი ნაკადების საპროგნოზო მაჩვენებლები და ის ფაქტი რომ სავაჭრო მოთხოვნების არ გადახდის/გაფუჭების შემთხვევაში უკან დაიბრუნებს ანალოგიური ღირებულების მოწყობილობას რომლის ხელახლა გაყიდვასაც მოახდენს თავდაპირველი სარეალიზაციო ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე.

ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც კომპანია წარმოადგენს მოიჯარეს

მენეჯმენტი იყენებს დაშვებებსა და მსჯელობებს ზღვრული საპროცენტო განაკვეთის დასადგენად. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით დგინდება საბაზისო განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტი) მახასიათებლებით. კომპანიამ იყენებს ერთი და იმავე დისკონტის განაკვეთს იჯარის პორტფელზე, რომელსაც გააჩნია მეტ-ნაკლებად მსგავსი მახასიათებლები.

23.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

ფუნქციონირებადობის შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანია ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს და ამ მხრივ მნიშვნელოვანი გაურკვევლობები არ არსებობს, შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

24 ფინანსური ინსტრუმენტები

24.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

სააღრიცხვო პოლიტიკები და მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

24.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილი		
გაცემული სესხები	86,213	40,036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	584,317	363,634
სხვა მოთხოვნები	9,814	4,382
ფული და ფულის ეკვივალენტები	70,364	219,576
მთლიანი ფინანსური აქტივები	750,708	627,628

ლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზებული ღირებულებით წარდგენილი		
სესხები	5,428,990	5,381,466
საიჯარო ვალდებულებები	151,665	70,783
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,427,039	4,617,973
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	10,007,694	10,070,222

25 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანიას ზოგიერთი ოპერაცია აქვს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, აქვს საკურსო სხვაობების რისკი. კომპანიის ოპერაციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკულ დოლარში და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან, განხილულია ქვემოთ (თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით):

2021 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,275	105,428
ფული და ფულის ეკვივალენტები	650	9,690
სულ ფინანსური აქტივები	2,925	115,118
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	156,268	24,801
სულ ფინანსური ვალდებულებები	156,268	24,801
წმინდა სავალუტო პოზიცია	(153,343)	90,317
2020 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	402	25,088
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე	63,138	-
სულ ფინანსური აქტივები	63,540	25,088
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	59,192	17,220
სულ ფინანსური ვალდებულებები	59,192	17,220
წმინდა პოზიცია	4,348	7,868

ცხრილი ასახავს დოლარის და ევროს მიმართ ლარის 20% (2020: 20%) გამყარების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 20% (2020: 20%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2020: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 20% ით (2020: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2021	2020	2021	2020
მოგება/(ზარალი)	(30,669)	870	18,063	1,180

ზემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლება კომპანიის სავალუტო რისკის ზემოქმედების წარმოსადგენად და ითვალისწინებს, რომ ყველა სხვა ცვლადი, როგორცაა საპროცენტო განაკვეთები, უცვლელია.

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკი იმართება ჯგუფურად, კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების საფუძველზე. საკრედიტო რისკი ფულად ნაშთებთან და დეპოზიტებთან მიმართებაში ხორციელდება საბანკო დეპოზიტების ღირებულების შემოწმებით, და ეს მხოლოდ მთავარ რეპუტაციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის ხარისხს. როდესაც შესაძლებელია, ხდება კრედიტ რეიტინგებისა და სხვადასხვა ანგარიშების გარე წყაროებიდან მიღება და მათი შემდგომი გამოიყენება.

სერვისის მომხმარებლები ვალდებული არიან გადაიხადონ მომსახურების წლიური თანხა წინასწარ, რაც ამცირებს საკრედიტო რისკს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება შედგება მომხმარებელთა დიდი რაოდენობით სხვადასხვა ინდუსტრიაში და გეოგრაფიულ არეალში. კომპანია არ ფლობს რაიმე გარანტიას სავაჭრო დებიტორულ ბალანსზე. გარდა ამისა, კომპანია არ ფლობს გირაოს სხვა ფინანსურ აქტივებთან (მაგ. წარმოებული აქტივები, ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ბანკებში).

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანია იყენებს IFRS 9-ის გამარტივებულ მოდელს ყველა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების მიზნით, რადგან ამ მუხლებს არ აქვთ მნიშვნელოვანი დაფინანსების კომპონენტი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას, სავაჭრო დებიტორული დავალიანება შეფასდა კოლექტიურ საფუძველზე, რადგან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. ისინი დაჯგუფებულია გასული დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდის პროფილს ბოლო 48 თვის განმავლობაში 2021 წლის 31 დეკემბრამდე და 2021 წლის 1 იანვრამდე, ისევე როგორც შესაბამისი ისტორიული საკრედიტო დანაკარგები ამ პერიოდის განმავლობაში. ისტორიული განაკვეთები მორგებულია იმისთვის, რომ ასახავდეს მიმდინარე და მოსალოდნელ მაკროეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კლიენტის გადახდისუნარიანობაზე. კომპანიამ გამოავლინა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) და უმუშევრობის მაჩვენებლები იმ ქვეყნებში, რომლებშიც მომხმარებლები ცხოვრობენ, როგორც ყველაზე რელევანტური ფაქტორები და შესაბამისად არეგულირებს ისტორიული ზარალის განაკვეთებს ამ ფაქტორების მოსალოდნელი ცვლილებებისთვის. თუმცა, საკრედიტო რისკის ქვეშ მყოფი მოკლე პერიოდის გათვალისწინებით, ამ მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენა საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არ იქნა მიჩნეული.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება ჩამოიწერება, როდესაც არ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ინვოისის თარიღიდან 360 დღის განმავლობაში გადაუხდელობა და ალტერნატიული მეთოდებით ნაშთის გაქვითვის შეუძლებლობა მიიჩნევა თანხის ამოღების გონივრული მოლოდინის არარსებობის ინდიკატორად.

შემოდინმულ საფუძველზე სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის განისაზღვრა შემდეგნაირად:

2021 წლის 31 დეკემბერი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	0%-1%	348,164	806
1 თვიდან 6 თვემდე	10%-50%	113,279	26,593
6 თვიდან 1 წლამდე	70%	28,834	20,184
1 წელზე მეტი	100%	94,040	94,040
		584,317	141,623

2021 წლის 1 იანვარი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი
1 თვეზე ნაკლები	1%	8,552	85
1 თვიდან 6 თვემდე	10%-50%	10,055	3,553
6 თვიდან 1 წლამდე	70%	13,438	9,047
1 წელზე მეტი	100%	101,090	101,090
		133,135	114,135

ც) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიას ყოველდღე უკავშირდებიან კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ისწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები ღარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

2021 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	საიჯარო ვალდებულება	სასესხო ვალდებულებები	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		16.00%	14.5%	
1-6 თვე	4,427,039	45,014	489,343	4,961,396
6-12 თვე	-	45,801	491,286	537,087
1-5 წელი	-	83,954	5,171,309	5,255,263
	4,427,039	174,769	6,151,938	10,753,746

2020 ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	საიჯარო ვალდებულება	სასესხო ვალდებულებები	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		16%	14.5%	
1-6 თვე	4,617,973	18,319	305,655	4,941,947
6-12 თვე	-	18,319	305,655	323,974
1-5 წელი	-	34,145	4,770,156	4,804,301
	4,617,973	70,783	5,381,466	10,070,222

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებიდან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულის რესურსი და სავაჭრო მოთხოვნები მნიშვნელოვანად ჩამოუვარდება მიმდინარე ფულად ვალდებულებებს. სავაჭრო მოთხოვნებიდან ფულის მიღების მოსალოდნელი პერიოდი შეადგენს 2-3 თვეს. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ლიკვიდურობის პოზიცია უარყოფითია, კომპანიას გააჩნია მრავალმხრივი გეგმა გაყიდვების მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით და მიღებულ ფულს გამოიყენებს ვალდებულებების დასაფარად. ასევე, კომპანიას აქვს წვდომა საბანკო ოვერდრაფტზე და სხვა საკრედიტო პროდუქტებზე. დამატებით, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ დამფუძნებლებს აქვთ რესურსი და მზაობა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ კომპანიას იმ შემთხვევაში თუ ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებით რაიმე სირთულეები წამოიშვა.

26 სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია აკეთებს იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და აჯგუფებს მათ 3 ღონეზე. თითოეული ღონე განხილულია ქვემოთ:

- ღონე 1 –სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის.

- დონე 2- სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის ამოსავალი მონაცემები არის მოცემული აქტივის ან ვალდებულების შესახებ 1-ელ დონეზე მიკუთვნებული ყველა მონაცემი, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც ემპირიულია პირდაპირ ან არაპირდაპირ.
- დონე 3- სამართლიანი ღირებულების შეფასება დამოკიდებულია შეფასების ტექნიკებზე, რომელიც იყენებენ ისეთ მონაცემებს, რომლებიც არ ეფუძნება ბაზარზე დიად დაკვირვებად მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

არაფინანსური აქტივების რეალური ღირებულება

ბას 2-ის გამოყენებამდე სოფლის მეურნეობის პროდუქცია (რთველით მიღებული ყურძენი) ფასდება გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ყურძენისთვის დადგენილი რეალური ღირებულება მიეკუთვნება რეალური ღირებულებების მე-2 იერარქიულ დონეს. აღნიშნული აქტივის რეალური ღირებულება დადგენილია საბაზრო მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსაგვს პროდუქტის ფასს დაკვირვებად ბაზარზე.

27 კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირება, რათა აქციონერებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

თანხები, რომლებსაც კომპანია განიხილავს სამართავ კაპიტალად წლის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	14,719,513	13,708,741
გამოკლებული: ფული და ფულის ეკვივალენტები	(70,364)	(219,576)
	14,649,149	13,489,165
კორექტირებული კაპიტალი	14,719,513	13,708,741
სესხები	5,428,990	5,381,466
საერთო დაფინანსება	20,148,503	19,090,207
კაპიტალის და საერთო დაფინანსების თანაფარდობა	0.73	0.71

კოეფიციენტის ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით:

- კომპანიამ საბანკო ინსტიტუტებიდან მოიზიდა ფულადი სახსრები სესხის სახით;
- მთლიანი კაპიტალი შემცირდა 2021 წლის განმავლობაში მიღებული წმინდა ზარალით.

28 პირობითი მუხლები და განუსაზღვრელობები

28.1 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა.

კომპანია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

28.2 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი

29 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ლარი	სესხები	ფინანსური იჯარა	სულ
2020 წლის 1 იანვარი	4,000,000	51,463	4,051,463
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
შემოსვლა	1,500,000	55,458	1,555,458
ძირის დაფარვა	(118,534)	(35,841)	(154,375)
საპროცენტო გადახდები	(481,510)	(19,599)	(501,109)
არაფულადი ცვლილებები:			
დარიცხული პროცენტი	481,510	19,302	500,812
2020 წლის 31 დეკემბერი	5,381,466	70,783	5,452,249
ფულადი ნაკადების მოძრაობა:			
თავდაპირველი აღიარება	-	169,668	169,668
შემოსვლა	5,202,000	-	5,202,000
ძირის დაფარვა	(5,153,234)	(85,616)	(5,238,850)
საპროცენტო გადახდები	(675,420)	(33,735)	(709,155)
არაფულადი ცვლილებები:			-
დარიცხული პროცენტი	674,178	30,565	704,743
2021 წლის 31 დეკემბერი	5,428,990	151,665	5,580,655

30 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და კომპანიის ხელმძღვანელობა.

30.1 საკონტროლო ურთიერთობები

კომპანიის მფლობელებსა და მკონტროლებელ მხარეს წარმოადგენენ ბ-ნ მამუკა ხაზარაძე (50%) და ბ-ნ ბადრი ჯაფარიძე (50%), ასევე მათი წილების მმართველები, შესაბამისად ნიკა ხაზარაძე და თამარ ჯაფარიძე.

30.2 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ლარი ოპერაციები	2021 წელი	2020 წელი
მფლობელებთან		
ღვინის გაყიდვა	4,130	2,813
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
ღვინის გაყიდვა	101,976	55,389
ლარი ნაშთები	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
მფლობელებთან		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,198	7,265
საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,522,626	3,875,639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	107,246	26,627
გაცემული სესხები	5,213	40,036

30.3 ოპერაციები ხელმძღვანელობასთან და მათი ოჯახის წევრებთან

ძირითადი ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში ხელფასისა და პრემიების სახით იღებდა შემდეგ ანაზღაურებას:

ლარი	2021 წელი	2020 წელი
სახელფასო ანაზღაურება	159,610	175,257
ბონუსები	-	-
სულ	159,610	175,257

შპს ვაზისუბნის მამული

მმართველობითი ანგარიში - ბიზნესის მიმოხილვა 2021

1. კომპანიის ბიზნესი, შედეგები და მდგომარეობა

შპს ვაზისუბნის მამული (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას რომელიც დაარსდა 2013 წლის 15 აპრილს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მევენახეობა, ღვინის წარმოება და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებზე. კომპანიის საწარმოო ინფრასტრუქტურა და ვენახები მდებარეობს გურჯაანის რაიონში, სოფელ ვაზისუბანში. გარდა ამისა კომპანიის საქმიანობა მოიცავს სასტუმროს და რესტორნის ოპერირებას, რომელიც ასევე ვაზისუბანში მდებარეობს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ მამუკა ხაზარაძე (წილის მმართველი ნიკა ხაზარაძე - 50%) და ბადრი ჯაფარიძე (წილის მმართველი თამარ ჯაფარიძე - 50%).

2021 წელს კომპანიის შემოსავალმა შეადგინა 4,282,780 ლარი, 2020 წლის შემოსავალმა კი 1,994,152 ლარი. შემოსავლი ძირითადად სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე გაზრდა. მთლიანი შემოსავლის 72% მოდის სტუმარ-მასპინძლობაზე, 9% საექსპორტო გაყიდვებზე, 19% კი ადგილობრივ გაყიდვებზე.

2021 წელს კომპანიაში საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 105 ადამიანი (2020: 94 ადამიანი).

2022 წელს კომპანია გეგმავს ინვესტირებას როგორც ღვინის წარმოებაში ისე სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით. მენეჯმენტი აპირებს პროდუქციის პორტფელის გაზრდას, რაც მოითხოვს საწარმოო სიმძლავრეების გაზრდასაც.

2. კომპანიის მიერ ჩატარებული კვლევითი და საცდელი სამუშაოები

2021 წელს კომპანიას კვლევითი და საცდელი სამუშაოები არ ჩატარებია

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

4. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

	2021	2020
შემოსავალი	4,282,780	1,994,152
საოპერაციო მოგება	2,826,707	1,018,761
საოპერაციო მოგების %	66%	51%
EBITDA	114,177	-599,396
Net Profit / Loss	-1,415,938	-766,557
RevPar	221	70
ADR	340	252

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2021	2020
დატვირთულობის %	65%	27%
ნომრების რაოდენობა	19	19
ვენახების საერთო ფართი (ჰა)	33.4	33.4
გაყიდული ბოთლის ღვინის რაოდენობა	60,896	62,562

5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმის მიმოხილვა

საექსპორტო გაყიდვებმა ღვინის მთლიანი გაყიდვების 38% შეადგინა. კომპანია ღვინის რეალიზაციას ახდენს მსოფლიოს 14 ქვეყანაში. კომპანიის პოლიტიკაა ითანამშრომლოს მხოლოდ გადახდისუნარიან კლიენტებთან. საგადახდო პირობები მერყეობს 30 დღიდან 90 დღემდე. საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის რეგულარული ანალიზით, გარდა ამისა კომპანია იყენებს საკრედიტო ლიმიტებს კლიენტების ჭრილში.

სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით კომპანიას საკრედიტო რისკი არ აქვს რადგან ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიწოდებამდე.

კომპანიის აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არსებობს სავალუტო რისკები. კომპანიის ძირითადი სავალუტო ტრანზაქციები დაკავშირებული საექსპორტო გაყიდვებთან, სადაც ძირითადი ვალუტაა აშშ დოლარი და ევრო. კომპანიის უმეტესი ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება.

კომპანია ლიკვიდობის მართვის ფრთხილი პოლიტიკა აქვს, ცდილობს რა იქონიოს საკმარისი ნაღდი ფული და ლიკვიდური აქტივები, რათა უზრუნველყოს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვა. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, რაც ძირითადად განპირობებულია სამშენებლო კონტრაქტო კომპანიასთან წარმოშობილი ვალდებულებითა და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების მიმდინარე გადასახდელით. კომპანიის მიზანია გაყიდვების მოცულობის ზრდა და მიღებული ნაღდი ფულით ვალდებულებების შემცირება. ამის გარდა კომპანიისთვის საკრედიტო საშუალებები ხელისმისაწვდომია. ასევე მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ კომპანიის დამფუძნებლების მხრიდან არის მზაობა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანია საკმარისი რესურსით, რათა მოხერხდეს ვალდებულებების გასტუმრება.

6. ძირითადი რისკები/განუსაზღვრელობები და საწარმოს მიზნები

2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და საომარმა მოქმედებებმა, რომელსაც ეკონომიკური სანქციები მოყვა საპასუხოდ განვითარებული სამყაროს მხრიდან, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მიწოდების ჯაჭვებზე, მსოფლიო უსაფრთხოებასა და გლობალურ ეკონომიკაზე. შეუძლებელია იმის განჭვრეტა რამდენ ხარისხს გაგრძელდება საომარო მოქმედებები, თუმცა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ ყველა საჭირო ზომას იღებს იმისთვის რომ უზრუნველყოს კომპანიის მდგრადობა და შემდგომი განვითარება.

გიორგი მშვიდლობაძე

გიორგი კორსანტია

აღმასრულებელი დირექტორი

ფინანსური დირექტორი

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2021	2020
დატვირთულობის %	65%	27%
ნომრების რაოდენობა	19	19
ვენახების საერთო ფართი (ჰა)	33.4	33.4
გაყიდული ბოთლის ღვინის რაოდენობა	60,896	62,562

5. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების და მათი მართვის მექანიზმის მიმოხილვა

საექსპორტო გაყიდვებმა ღვინის მთლიანი გაყიდვების 38% შეადგინა. კომპანია ღვინის რეალიზაციას ახდენს მსოფლიოს 14 ქვეყანაში. კომპანიის პოლიტიკაა ითანამშრომლოს მხოლოდ გადახდისუნარიან კლიენტებთან. საგადახდო პირობები მერყეობს 30 დღიდან 90 დღემდე. საკრედიტო რისკის მართვა ხორციელდება ხანდაზმულობის რეგულარული ანალიზით, გარდა ამისა კომპანია იყენებს საკრედიტო ლიმიტებს კლიენტების ჭრილში.

სტუმარ-მასპინძლობის მიმართულებით კომპანიას საკრედიტო რისკი არ აქვს რადგან ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიწოდებამდე.

კომპანიის აქვს ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად არსებობს სავალუტო რისკები. კომპანიის ძირითადი სავალუტო ტრანზაქციები დაკავშირებული საექსპორტო გაყიდვებთან, სადაც ძირითადი ვალუტაა აშშ დოლარი და ევრო. კომპანიის უმეტესი ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება.

კომპანია ლიკვიდობის მართვის ფრთხილი პოლიტიკა აქვს, ცდილობს რა იქონიოს საკმარისი ნაღდი ფული და ლიკვიდური აქტივები, რათა უზრუნველყოს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვა. კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები აღემატება მიმდინარე აქტივებს, რაც ძირითადად განპირობებულია სამშენებლო კონტრაქტო კომპანიასთან წარმოშობილი ვალდებულებითა და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულების მიმდინარე გადასახდელით. კომპანიის მიზანია გაყიდვების მოცულობის ზრდა და მიღებული ნაღდი ფულით ვალდებულებების შემცირება. ამის გარდა კომპანიისთვის საკრედიტო საშუალებები ხელისმისაწვდომია. ასევე მენეჯმენტი დარწმუნებულია რომ კომპანიის დამფუძნებლების მხრიდან არის მზაობა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანია საკმარისი რესურსით, რათა მოხერხდეს ვალდებულებების გასტუმრება.

6. ძირითადი რისკები/განუსაზღვრელობები და საწარმოს მიზნები

2022 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრამ და საომარმა მოქმედებებმა, რომელსაც ეკონომიკური სანქციები მოყვა საპასუხოდ განვითარებული სამყაროს მხრიდან, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მიწოდების ჯაჭვებზე, მსოფლიო უსაფრთხოებასა და გლობალურ ეკონომიკაზე. შეუძლებელია იმის განჭვრეტა რამდენ ხარის გაგრძელდება საომარო მოქმედებები, თუმცა კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ ყველა საჭირო ზომას იღებს იმისთვის რომ უზრუნველყოს კომპანიის მდგრადობა და შემდგომი განვითარება.

გიორგი მშვიდლობაძე

აღმასრულებელი დირექტორი



გიორგი კორსანტია

ფინანსური დირექტორი